

ვაზის ქართული ჯიშების ამპელოგრაფიული შესწავლის შედეგები სკრის კოლექციაში

ირმა მდინარაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
ეკატერინე აბაშიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
მაია ბარათაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
მედეა ვიზლიანი - ტექნიკის აკადემიური დოქტორი
დავით მალრაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

სამუშაოები შესრულდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო
ფონდის ფუნდამენტური კვლევების პროექტის „ქართული ვაზის ჯიშები:
დაცვის მენეჯმენტი“ (FR/547/10-102/13) ფარგლებში.

რეზიუმე:

ნაშრომში განხილულია სკრის კოლექციაში (FAO-ს სარეგისტრაციო ნომერი კოლექციისათვის არის GEO015) დაცული 128 ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიშის ამპელოგრაფიული შესწავლის შედეგები, რომლებიც შესრულებული იქნა 2014–2016 წლებში. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან წარმოშობილი ჯიშები აღწერილი იქნა OIV-ის 45 დესკრიპტორის მიხედვით. ამპელოგრაფიული აღწერები გამოყენებული იქნა „სკრის კოლექციის ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული კატალოგის“ გამოცემისათვის, სადაც შეტანილია 152 ჯიშის აღწერილობა.

საკვანძო სიტყვები: *Vitis vinifera* L., ამპელოგრაფია, დესკრიპტორი, გენოფონდი, კონსერვაცია.

შესავალი

ვაზის ქართული ჯიშების გარკვეული რაოდენობა უპირატესად შესწავლილი იყო გასულ ორ საუკუნეში ამპელოგრაფიული, ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშნების მიხედვით (ცერცვაძე, 1987; რამიშვილი, 1986; Ампелография СССР, 1946-1970; კეცხოველი და სხვ. 1960; ტაბიძე 1954; რამიშვილი 1948; ჩოლოყაშვილი, 1939; მიროტაძე, 1939, Старосельский, 1893), მაგრამ თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით სამუშაო არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დასრულებულად: ჯერ კიდევ არ არსებობს ყველა ჯიშის სრულყოფილი ამპელოგრაფიული აღწერილობა – განსაკუთრებით ვაზის ჯიშების დესკრიპტორებით აღწერის კუთხით, რომლებიც ფართოდაა აპრობირებული ბოლო ათწლეულების მსოფლიო მევენახეობაში; მცირედ გავრცელებული და იშვიათი ჯიშების უმეტესობა ძალიან მოკლედაა დახასიათებული სპეციალური ლიტერატურაში; ვაზის ჯიშების ახალი ამპელოგრაფია ქართულ ენაზე არ დაბეჭდილა გასული 30 წლის მანძილზე, ხოლო მანამდე გამოცემული ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და სრულყოფილად ვედარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

კვლევა, რომლებიც ითვალისწინებს ქართული ვაზის ნაკლებად აღწერილი ჯიშების სრულყოფილ შესწავლას და ამპელოგრაფიულ დახასიათებას ვიზუალური მასალის დართვით, ჯიშების სრული აღწერილობის მომზადებას ახალი ამპელოგრაფიული კატალოგის გამოსაცემად, კვლავ აქტუალური რჩება დღევანდელ პირობებში როგორც წმინდა ამპელოგრაფიული ინტერესიდან გამომდინარე, ასევე პრაქტიკული მევენახეობის გადასახედიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცდის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა სკრის კოლექციაში დაცული ვაზის ქართული ჯიშები ამპელოგრაფიის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მასალები და მეთოდები

ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული და ამპელომეტრიული აღწერისათვის, მათი სამეურნეო მაჩვენებლებით შეფასებისათვის გამოყენებული იქნა OIV (2007)-ის ჰარმონიზირებული 45 დესკრიპტორი, რეკომენდებული ევროპული COST FA1003 პროექტის მიერ, როგორც საბაზისო ნაკრები ჯიშების შესწავლისათვის.

კვლევის ფარგლებში შესრულებული იქნა სკრის კოლექციაში (გორის მუნიციპალიტეტი) დაცული 128 ქართულ ადგილობრივი ჯიშის ამპელოგრაფიული შესწავლა 2014-2016 წლებში. წლების მიხედვით შესწავლილი ჯიშების რაოდენობა გადანაწილებული იქნა შემდეგნაირად: 2014 წელი – 48 ჯიში, 2015 წელი – 50 ჯიში, 2016 წელი – 30 ჯიში.

სკრის კოლექცია გაშენებულია 2009 წელს, 2,5 x 1,5 მ სქემით, მდელოს ყავისფერი ნიადაგის ტიპზე. ვაზი გაფორმებულია ორმხრივი ქართული წესით შპალერზე. თითოეული ნიმუში წარმოდგენილია 10-10 მცენარის ოდენობით. ვენახის მოვლისათვის გამოყენებული იყო მევენახეობის აგროტექნიკაში ზოგადად მიღებული წესები, რომელიც უზრუნველყოფდა ყურძნის სრულფასოვანი მოსავლის მიღების საშუალებას და ცდების გამართული წარმოების შესაძლებლობას.

სკრის კოლექციას აქვს საერთაშორისო რეგისტრაცია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში (FAO) და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი GEO015.


დაკვირვებები ტარდებოდა OIV დესკრიპტორების მიერ მითითებულ კალენდარულ ვადებში, 10-10 მცენარეზე ახალგაზრდა ყლორტის, ახალგაზრდა და ზრდასრული ფოთლის, ყვავილის, მტევნის, მარცვლისა და ყურძნის წვენის პარამეტრების ჩათვლით.

მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისათვის გამოყენებული იყო აღწერილი სტატისტიკის მეთოდები.

კვლევის შედეგები:

შერჩეული ჯიშები წარმოდგენილია საქართველოს მევენახეობის სხვადასხვა რეგიონიდან.


როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს პროცენტულად ყველაზე მეტი (31%) ნიშანია შესწავლილი ზრდასრული ფოთლის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება მარცვლის (19%), ახალგაზრდა ყლორტის (13%) და მტევნის (11%) პარამეტრები. დანარჩენი ნიშნები 8-დან 2%-მდეა წარმოდგენილი.



დიაგრამა 1. შესწავლილი ამპელოგრაფიული ნიშნების რაოდენობა


მიღებული შედეგები შეგვიძლია განვიხილოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნიშნის მიხედვით, კერძოდ შესწავლილი ჯიშების:

1. ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღია ფორმისაა.
2. ყლორტი დგომის მიხედვით ჰორიზონტალური (36,7%) ან ნახევრად სწომდგომია (34,4%), იშვიათად გვხვდება სწორმდგომი და ნახევრად დაშვებულ ფორმებიც.
3. ყლორტებზე პწკლების განლაგების რიგითობა 2 ან ნაკლებია.
4. ახალგაზრდა ფოთლის (მე-4 ფოთლი) ზედაპირი ძირითადად (46,9%) სპილენძისფერია, შედარებით ნაკლებად გვხვდება ბრონზესფერი, ყვითელი და მწვანე ფერის ფოთლებიც.
5. ყვავილი სქესის მიხედვით ორსქესიანია - სრულად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით (99,1%) (იხ. დიაგრამა 2), ხოლო იშვიათად (0,9%) მდედრობითია - მოხრილი მტვრიანებით და სრულად განვითარებული ბუტკოთი.



დიაგრამა 2. ყვავილის სქესის ვარიაციები ქართულ ჯიშებში

6. ზრდასრული ფოთოლი ფორმის მიხედვით სოლისებური (45,3%) ან ხუთკუთხაა (27,4%), იშვიათად გვხვდება მრგვალი ფორმის ფოთლებიც.
7. ზრდასრული ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ძირითადად (67,2%) V-ს მსგავსია.
8. 29.7%-ისათვის დამახასიათებელია ყუნწის ამონაკვეთში კბილის არსებობა.
9. ზრდასრული ფოთლის ფირფიტა ქვედა მხარეს ძარღვებს შორის შეუბუსავი ან სუსტად შებუსულია (35,9%) ან შებუსულია საშუალოდ (21,9%) და ძლიერად (21,9%), ასევე გვხვდება სუსტად ან ძალიან ძლიერად შებუსული ფოთლებიც (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ზრდასრული ფოთლის ქვედა მხარის შებუსვის ვარიაბელობა ქართული ვაზის ჯიშებში

10. მტევანი ცილინდრული ან კონუსური ფორმისაა, იშვიათად გვხვდება ძაბრისებური ფორმებიც.
11. მარცვლი სფერული (43,8%) ან მოკლე ელიფსური (35,9) ფორმისაა, იშვიათად გვხვდება განიერ ელიფსური, მოგრძო ელიფსური, კვერცხისებური და უკუკვერცხისებური ფორმებიც.
12. გამოირჩევიან ყურძნის წვენის მაღალი ან ძალიან მაღალი (64,9%) შაქრიანობით, 32,0%-ისათვის დამახასიათებელი საშუალო შაქრიანობა, ხოლო 3,1 % დაბალშაქრიანია.

152 ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერა და ფოტოები დაედო საფუძვლად „სკრის კოლექციის ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიულ კატალოგის“ (მადრაძე და სხვ. 2017) გამოცემას, რომელიც მომზადებული იქნა შეკრებილი მონაცემების ბაზაზე და გამოცემული იქნა ამავე სამუშაოს ფარგლებში.

დასკვნები

2014-2016 წლებში სულ შესწავლილი იქნა 128 ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიში.

- პროცენტულად ყველაზე მეტი (31%) ნიშანია შესწავლილი ზრდასრული ფოთლის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება მარცვლის (19%), ახალგაზრდა ყლორტის (13%) და მტევნის (11%) პარამეტრები. დანარჩენი ნიშნები 8-დან 2%-მდეა წარმოდგენილი.
- OIV-ის დისკრიპტორის შესაბამისად შესწავლილი ნიშნები გათვალისწინებული იქნება სამეურნეო ღირებულების ნიშან-თვისებების წინ წამოწევისათვის, ჯიშების იდენტიფიკაციისათვის, ამპელოგრაფიული კატალოგების გამოსაცემად და სხვა.
- პროექტის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები, შეკრებილი იქნა Excel ფაილის ფორმატში, რომელიც შემდგომში გაერთიანებული იქნება ვაზის ქართული ჯიშების ერთიან მონაცემთა ბაზაში.
- ამპელოგრაფიული აღწერები გამოყენებული იქნა „სკრის კოლექციის ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიულ კატალოგის“ გამოცემისათვის, სადაც შეტანილი იქნა 152 ვაზის ქართული ჯიში.

გამოყენებული ლიტერატურა

- კეცხოველი ნ., ტაბიძე დ., რამიშვილი მ. 1960. საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი. გამომც. „ტექნიკა და შრომა“.
- მადრაძე დ., მდინარაძე ი., ჭიპაშვილი რ., აბაშიძე ე., კიკილაშვილი შ., ბარათაშვილი მ., ვიბლიანი მ., ხარიტონაშვილი ლ., ბიწაძე ნ. 2017. სკრის კოლექციის ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული კატალოგი. თბილისი. 344 გვ.
- რამიშვილი მ. 1986. ამპელოგრაფია. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“. 632 გვ.
- ცერცვაძე ნ. 1987. საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების სარკვევი. თბილისი.
- O.I.V.; 2007: Descriptors for Grapevine Cultivars and *Vitis* Species. Office International de la Vigne et du Vin (O.I.V.). Paris, France. 1 - 178.
- Maghradze D., O. Failla, J. Turok, M. Amanov, A. Avidzba, N. Chkhartishvili, L. Costantini, V. Cornea, J.F. Hausman, S. Gasparian, K. Gogishvili, S. Gorislavets, E. Maul, G. Melyan, A. Pollulyakh, V. Risovannaya, G. Savin, A. Scienza, A. Smurigin, L. Troshin, N. Tsertsvadze and V. Volynkin. 2009. Conservation and sustainable use grapevine genetic resources in the Caucasus and Northern Black Sea area. *ISHS Acta Horticulturae* 827: 155-158.

Results of ampelographic study of grapevine varieties in the Skra germplasm repository

Irma Mdinardze – Academic Doctor of Agriculture,
Ekaterine Abashidze - Academic Doctor of Agriculture,
Maia Baratashvili - Academic Doctor of Agriculture,
Medea Vibliani - Academic Doctor of technical,
David Maghradze - Academic Doctor of Agriculture,

Key words: *Vitis vinifera* L., ampelography, descriptors, germplasm, conservation

Abstract

The results of ampelographic study for 128 Georgian varieties are presented in this article. The studied varieties are preserved in the Skra germplasm repository (the FAO code for the collection is GEO015) and their investigation was done in the period of 2014-2017. The varieties originated from various regions of Georgia were described by using of 45 OIV descriptors. The ampelographic descriptions were used by preparing of illustrated “Ampelographic catalogues of grape varieties from Skra collection”, in which 152 varieties are presented.